

**კითხვები  
საზღვრის  
ორივე მხარეს**



**გუნდობიანი  
დედოფლისწყაროში**



**მუხრანის  
რეაბილიტაციის  
პროექტის  
ევროპული  
მეგობრობის  
პროგრამის  
შედეგად**

**გვ. 5**

**26 მაისი** დედოფლისწყაროში

## პური და ღვინის ფესტივალი

11:00 სთ – კონფერენცია ცენტრალურ ბიბლიოთეკაში  
 12:00 სთ – ფესტივალის გახსნა  
 რუსთაველის ქუჩა – გამოფენები: „წარმოებულა  
 დედოფლისწყაროში“; ადგილობრივი მწარმოებლების  
 ნამუშევრებისა და ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-  
 გაყიდვა; პურის, ღვინის, კუთხური სამზარეულოს  
 დაგემოვნება; სოფლების შემოქმედებითი ჯგუფების  
 გამოსვლები; სპორტული შეჯიბრებები

15:00 სთ – კონცერტი და ნომინაციებში გამარჯვებულთა დაჯილდოება  
 20:00 სთ – დისკოთეკა; 22:00 სთ – ფეიერვერკი

**ევროპა-საქართველოს არჩევანი**

**გვ. 2**

**კახეთის რაიონებში  
ქარსაფარი ზოლები  
გაშენდება**

**გვ. 2**

**სივრცეში, სადაც ისტორიას  
ნივთები ჰყვებიან...**

**გვ. 4**



### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მალაიზიისა და ვიეტნამის ელჩებს შეხვდა

პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე მალაიზიის ფედერაციისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩებს - რაჯა რეზა რაჯა ზაიდ შაჰს და ნუიენ თი ჰონგ ოანს შეხვდა.

როგორც პარლამენტის პრესსამსახურში განაცხადეს, შეხვედრებზე პარლამენტის თავმჯდომარემ და დიპლომატებმა ორმხრივი ურთიერთობები მიმოიხილეს და სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე იმსჯელეს. აღინიშნა, რომ ორმხრივი ურთიერთობის გააქტიურებაში განსაკუთრებული როლი საპარლამენტო დიალოგის და ხალხთაშორის კავშირებს აკისრია. ამ კონტექსტში, ვიეტნამის ელჩთან შეხვედრისას, ხაზი გაესვა სამომავლოდ, ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიმში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნის მნიშვნელობას.

შეხვედრებზე, ყურადღება გამახვილდა ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების განვითარების თვალსაზრისით არსებულ პოტენციალზე, ასევე, განათლებისა და ტურიზმის სფეროებში თანამშრომლობის გაძლიერებაზე. ხაზი, ასევე, გაესვა საქართველოს სტრატეგიულ მდებარეობას და „ერთი სარტყელი ერთი გზის“ ინიციატივის მნიშვნელობას.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ელჩებს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა დაუდასტურა.

### ფორუმი სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგისთვის

წყალტუბოში „სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის“ მეოთხე, ყოველწლიური ფორუმი გაიმართა. ფორუმზე მონაწილე სტუმრებს სიტყვით მიმართეს: საქართველოს პრემიერ მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ, საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა, მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონული მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, სოზარ სუბარმა და პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა გაბუნია.

ფორუმზე ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ფარგლებში რეგიონული ეკონომიკისა და ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ძირითადი გამოწვევები განიხილეს.

დონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს: სახელმწიფო რწმუნებულებმა რეგიონებში, საქართველოს თვითმმართველი ერთეულების მერებმა და საკრებულოს თავმჯდომარეებმა, ცენტრალური ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

„სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგის“ ფორუმი პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის ინიციატივით, 2018 წელს დაარსდა. იგი თვითმმართველობის განვითარებასა და დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კონსტრუქციული დიალოგის პლატფორმა და საქართველოს 64 მუნიციპალიტეტის არჩეულ მერებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებს, რეგიონების რწმუნებულებსა და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს აერთიანებს.

### ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი - ვიმედოვნებ, რომ საქართველოში ჩემი ვიზიტი ახალ პერსპექტივებს გახსნის

ჩემთვის უდიდესი პატივია, რომ ჩამოვედი საქართველოში, - ამის შესახებ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვან იმ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრთან დავით ზალკალიანთან შეხვედრისას განაცხადა.

ასევე, ვან იმ აღნიშნა, რომ ჩინეთი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას პატივს სცემს.

„ჩინეთი ახორციელებს საგარეო პოლიტიკას, რომელიც მშვიდობიანი თანაცხოვრების პრინციპებს ეფუძნება. ჩვენ მზად ვართ, კიდევ უფრო განვავითაროთ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობები. გვაქვს მტკიცე პოზიცია, რომ ყველა ქვეყანა თანასწორია, მიუხედავად მათი სიდიდისა. ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს და სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ყოველთვის გვახარებს, როდესაც ქვეყნები ცდილობენ გაეცნონ განვითარების გზას, თავიანთი ხალხის საჭიროებებისა და არსებული პირობების გათვალისწინებით“, - აღნიშნა ვან იმ.

მისივე თქმით, საქართველოსა და ჩინეთს მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს და მათ შორის პრობლემა არ არის.

„საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მოკლე ხანში, ჩინეთმა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა და მას შემდეგ, ჩვენი ორმხრივი ურთიერთობები შეუფერხებლად ვითარდება. ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობებში არანაირი პრობლემა არ არსებობს. ჩვენ გვახარებს, როდესაც ვხედავთ, რომ ქვეყნები აუმჯობესებენ სტანდარტებს და ვიმედოვნებთ, რომ ეს ქვეყნები კიდევ უფრო დიდ პოტენციალს განავითარებენ.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველო თავის მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობებში შექმნის უფრო ხელსაყრელ გარემოს, რაც ხელს შეუწყობს მის განვითარებას.

ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბოლო ვიზიტი საქართველოში მრავალი წლის წინ შედგა. ჩემთვის ეს ვიზიტი, პირველ რიგში, მეგობრობის გამოხატულებას წარმოადგენს. ვიმედოვნებ, რომ ეს ვიზიტი დაგვეხმარება კიდევ უფრო განვავითაროთ ტრადიციული მეგობრობა ჩვენს ორ ქვეყანას და განსაკუთრებით, ჩვენს ხალხებს შორის. ასევე ვიმედოვნებ, რომ ეს ვიზიტი გახსნის ახალ პერსპექტივებს და განზომილებებს ორმხრივი ურთიერთობების განსავითარებლად.

ეს არის ვიზიტი მოსმენისთვის, რადგან ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ბოლო ვიზიტიდან ამდენი წლის შემდეგ, ჩემთვის ეს ვიზიტი არის შესაძლებლობა შევიტყო, თუ როგორ გამოიყენა საქართველომ ჩვენი ურთიერთობები და მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები, რაც ვფიქრობ გააუმჯობესებს ჩვენს ურთიერთგაგებას.

ეს არის ვიზიტი, რომელიც დაგვეხმარება შევისწავლოთ ახალი შესაძლებლობები, არსებულ თანამშრომლობაზე დაყრდნობით და ვიპოვიოთ გზები, არსებული გლობალიზაციის შესაბამისად, თუ როგორ შეიძლება განვავითაროთ ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა. კერძოდ, როგორ უნდა განვსაზღვროთ თანამშრომლობის ახალი სფეროები, საგზაო ინიციატივები, როგორ უნდა მოვუტანოთ უფრო მეტი სარგებელი ჩვენს ხალხს და ხელი შევუწყოთ მშვიდობასა და განვითარებას სამხრეთ კავკასიაში, რეგიონსა და მის ფარგლებს მიღმა, როგორ შეგვიძლია ერთობლივად გავიღოთ წვლილი“, - განაცხადა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

მან ასევე ხაზი გაუსვა 26 მაისს და საქართველოსა და ქვეყნის მოსახლეობას დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

### ევროპა-საქართველოს არჩევანი



ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, თბილისის საკრებულოში გამართა შეხვედრა სახელწოდებით „ევროპა - საქართველოს ისტორიული არჩევანი“, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა ქალაქის მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები მონაწილეობენ.

უფრო მიმოსვლა; კულტურის, განათლების, მეცნიერების პროგრამები; ევროკავშირის ერთიან ბაზარზე მეტი წვდომა და სხვა - ეს მნიშვნელოვანი მიღწევებია ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში.

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა და შემდგომი განვითარების პოლიტიკური ნება დადებითად არის შეფასებული ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის მონიტორინგის მისიის ანგარიშში.

მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზებისა და საზოგადოების აქტიური ჩართულობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მმართველობის ევროპული სტანდარტების დანერგვის პროცესში.

შეხვედრას - „ევროპა - საქართველოს ისტორიული არჩევანი“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი დაესწრო.

### დონალდ ტრამპი - არა მგონია, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში დამატებითი ძალების გაგზავნა გვეჭირდებოდეს, თუმცა, ჯარებს გაგაგზავნი, თუ ეს საჭირო იქნება

აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის თქმით, იგი არ ფიქრობს, რომ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ირანთან წინააღმდეგობის გასაწევად დამატებითი სამხედრო ძალების გაგზავნა საჭიროა.

„არა მგონია გვეჭირდებოდეს დამატებითი ძალების გაგზავნა, თუმცა, გაგაგზავნი ჯარებს იმ შემთხვევაში თუ ეს საჭირო იქნება და რამდენიც საჭირო იქნება“, - განაცხადა ტრამპმა.

შეგახსენებთ, ახლო აღმოსავლეთში დამატებითი ამერიკული ძალების გაგზავნის შესახებ აშშ-ის თავდაცვის მდივანმა პატრიკ შენაჰანმა განაცხადა. მისი თქმით, ის ამ საკითხს განიხილავს იმისათვის, რომ გააძლიეროს ამერიკული ძალების დაცვა ირანთან დაძაბულობის ფონზე.

თეირანსა და ვაშინგტონს შორის ბოლო რამდენიმე კვირა ვითარება დაძაბულია. ტრამპმა ირანს სანქციები დაუწესა, რის შედეგადაც თეირანი მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ექსპორტს ვეღარ ახერხებს.

## კახეთის რაიონებში ქარსაფარი ზოლები გაშენდება

საბარაჯოს, გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში, 18 ჰექტარზე ქარსაფარი ზოლები გაშენდება.

ბარამოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ახალი პროექტის - „ქარსაფარი ზოლების აღდგენა და გაშენება კახეთის მხარეში“ პროზინტა-ციე გაიმართა. პროექტის ფარგლებში, საბარაჯოს, გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში 25 კმ (18 ჰა ფართობი) ქარსაფარი ზოლები გაშენდება.

„ნიადავის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია ქარსაფარი ზოლების აღდგენისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება. მინდორდაცვითი ზოლების აღდგენის საკითხზე სამინისტრო აქტიურად მუშაობს. მადლობა მინდა გადავუხადო დონორ ორგანიზაციებს მხარდაჭერისთვის, რასაც მათგან ვიღებთ ზოგადად დარგის განვითარებისთვის და ახალი პროექტის „ქარსაფარი ზოლების აღდგენა და გაშენება კახეთის მხარეში“ განხორციელებისთვის“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

პირველმა მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა.

პროექტი „ქარსაფარი ზოლების აღდგენა და გაშენება კახეთის მხარეში“ მულტისექტორულია, რაც ნიადაგის და ბიომრავალფეროვნების დაცვასთან ერთად, კლიმატთან ადაპტაციის ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულ პროექტს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC) სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და დამოუკიდებლობა (AMMAR) პროექტის ფარგლებში ახორციელებს.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გამართულ შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ოური ნოზაძე და სოლომონ პავლიაშვილი, კახეთის რეგიონის შესაბამისი მუნიციპალიტეტების და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.





დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აცხადებს საჯარო აუქციონს მის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით

აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება:

Table with 9 columns: ლოტი, მისამართი, ქონების დასახელება, გაშენების ფართი კვ.მ., საკადასტრო კოდი, სანყისი საპრივატიზებო ფასი(ლარებში), „ბე“ სანყისი ფასი (%), „ბიჯი“ სანყისი ფასი (%), „მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)

აუქციონზე სარგებლობის უფლებით (იჯარით) 10 (ათი) წლის ვადით გადასაცემად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

Table with 7 columns: მისამართი, ქონების დასახელება, რაოდენობა (ცალი), ქირის წლიური საფასური (ლარებში), „ბე“ სანყისი ფასი (%), „ბიჯი“ სანყისი ფასი (%), „მონაწილის ბილეთის“ ფასი (ლარებში)

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ: საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან იმ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწარმოებს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური - ანა ბენაშვილი), ინფორმაციის გამოქვეყნებიდან ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10-დან 17 საათამდე, 30-ე კალენდარული დღის 13 00 სთ-მდე. იმ შემთხვევაში, თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადების მიღება გაგრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, 13 00 სთ-ზე. აუქციონი გაიმართება განცხადებების მიღების დამთავრების დღეს, 14 00 სთ-ზე. მისამართი: ქ.დედოფლისწყარო, მ. კოსტავას ქ. №44, მე-3 სართული, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერია, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ანა ბენაშვილი) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს: 1. განაცხადი, დადგენილი ფორმის მიხედვით; 2. „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ ქვითარი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში 200122900; სახელმწიფო ხაზინა-220101222; კოდი- 300 533 313 (არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები); კოდი- 300 533 212 (შენობა-ნაგებობების იჯარა); 3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში), ნოტარიულად დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განცხადების შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამწარმოო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში). 4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით. აუქციონში მონაწილეს, ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის რეგისტრატორთან წარმოდგენის შემდეგ, გადაეცემა აუქციონის მონაწილის ბილეთი. აუქციონში დამარცხებულს „ბე“ დაუბრუნდება, ხოლო აუქციონში გამარჯვებულმა პირმა, აუქციონის ჩატარებიდან 30 დღის განმავლობაში, უნდა გადაიხადოს საბოლოო თანხა. თუ მყიდველი აღნიშნულ თანხას არ გადაიხდის სრულად, მის მიერ შეტანილი „ბე“ უკან არ დაუბრუნდება. გასაყიდი ქონებისა და აუქციონის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.დედოფლისწყარო, მ.კოსტავას ქ. №44, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური. საკონტაქტო ტელ: 599 85 58 40

სააუქციონო კომისია

# სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ სვლილებები შევიდა

სახელმწიფო პროგრამაში „დანერგე მომავალი“ სვლილებები შევიდა, რომლის ფარგლებშიც დაიწყო სახელმწიფო პროგრამის აქციალბან, თანამდროშე ტიპის, ინ-ტენსიური ბაღების, მიტ ფართობზე გაშენების მიზნით, მიზანშეწონილია დაგეგმილი მასტიმულირებალი მიძახ-ნიზამები შეიქმნას. მთავრობის დადგენილების თანახმად, ბაღების კომპონენტში, გასაშენებელი ფართობი შემცირდა და, 1 ჰექტარის ნაცვლად, 0,5 ჰექტარით განისაზღვრა. ბაღების კომპონენტში, 1 ბენეფიციარზე მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა კი, ნაცვლად 100,000 ლარისა, არაუმეტეს 250,000 ლარი იქნება. როგორც გავით „შირაჟს“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა იანო ყოჩიაშვილმა აცნობა, „ფსტის (ფისტა), ზეთისხილისა და საღვინე ვაზის კულტურების (გარდა რქანიტელისა და საფერავისა), ხოლო გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში თხილის კულტურის ბაღის გაშენება შესაძლებელია წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის გარეშე. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ფინანსური დახმარება პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას ითვალისწინებს თანადაფინანსების სახით, როგორც მრავალწლიანი კულტურების ნერგების შექმნის, ასევე, წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის და ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში, შუა და საყრდენი ბოძების შექმნის ან/და სეტყვის საწინააღმდე-

გო ბაღების მოწყობის მიზნით. ბაღების კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება შესაძენი ნერგების ლირებულების არაუმეტეს 70%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში, არაუმეტეს 80%. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუფინანსდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობა მისი ლირებულების არაუმეტეს 50%-ის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 1 250 ლარისა 0,5 ჰა-ზე, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში - არაუმეტეს 60%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 1 500 ლარისა 0,5 ჰა-ზე. ბაღების კომპონენტის ფარგლებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუფინანსდება სეტყვის საწინააღმდეგო ბაღების მოწყობის ლირებულების არაუმეტეს 50%, ხოლო სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივების, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების შემთხვევაში - არაუმეტეს 60%. ასევე ცვლილებების თანახმად, პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, მრავალწლიანი ბაღის

გაშენების შემდგომ, დაუფინანსდება შესაძენი შესაწამლი აპარატების ლირებულება წარმოდგენილი ინვოისის ან/და შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს 5 000 ლარისა. საწვეთო კომპონენტის ნაწილში, ნაცვლად 50%-იანი თანადაფინანსებისა, დაფინანსდება პროექტის ჯამური ლირებულების 70%, არაუმეტეს 500 000 ლარამდე. ცვლილებები შევიდა ასევე კენკროვანი კულტურების ქვეკომპონენტში, რომელიც ითვალისწინებდა ლურჯი მოცვის, მაცყლის და ყოლოს ინტენსიური ბაღების გაშენების დაფინანსებას კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში. ცვლილებების თანახმად, კენკროვანი კულტურების თანადაფინანსების ქვეკომპონენტის ფარგლებში, კენკროვანი კულტურების გაშენება შესაძლებელია დაფინანსდეს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში შემდეგი

თვითმმართველი ქალაქების - თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი და ფოთი - გარდა, კენკროვანების ქვეკომპონენტის ფარგლებში ერთ ბენეფიციარზე, ფიზიკური პირის შემთხვევაში, დაფინანსდება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ლირებულების 100%, მაგრამ არა უმეტეს 3000 ლარისა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შემთხვევაში არა უმეტეს 3000 ლარისა, ყოველ 0,5 ჰა -ზე გადაანგარიშებით. ინტერესთა საჯარო გამოხატვა განხორციელდა სააბინტოს ელექტრონულ ფოსტაზე - ინფო@ააგ.გე, ან დაუკავშირდით დედოფლისწყაროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს : ტელ. 599 402110; 599 607193; 599 337890. პროექტის „დანერგე მომავალი“ განხორციელება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ 2015 წლის მარტში დაიწყო. პროექტის მიზანია, მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება, რის შედეგადაც, მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ქართული პროდუქციით ჩანაცვლება, გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების წეღელეული უზრუნველყოფა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ინგა შილაშვილი





# სივრცეში, სადაც ისტორიას ნივთები ჰყვებიან...

**მუზეუმების კვირეულმა სტარტი 18 მაისს აიღო და მუზეუმში მისულ სტუმრებს საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ღონისძიებებით დაამახსოვრა თავი. მუზეუმის თითოეული თანამშრომელი, საკუთარი დამუშავებული თემებით აცოცხლებდა ისტორიას, მოგონებებს, ქიზიურ კულტურას. 18-დან 23 მაისის ჩათვლით არ ყოფილა ღონისძიება, რომელსაც დიდი ინტერესით არ მოისმენდით.**

21 მაისს მუზეუმში მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოესმინათ იმ ამბავთა და დამსახურებულის პედაგოგების, განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანების მოგონებები, რომლებიც ათეული წლები ემსახურებოდნენ საკუთარ საქმეს და დიდი ენთუზიაზმით უდგებოდნენ თითოეულ ნამონყებულ ინიციატივას. როგორც ღონისძიების წამყვანმა, **თამარ ჯაბაშვილმა** განაცხადა, **მუზეუმების კვირეულის ფარგლებში ეს სალონური ტიპის შეხვედრა სწორედ ამ ადამიანების კიდევ ერთხელ გასახსენებლად და მათთვის ერთი დღის გასალამაზებლად მოეწყო.** თამარ ჯაბაშვილმა



ვილმა დამსწრე საზოგადოებას იმ ადამიანების ბიოგრაფია და მოღვაწეობის პერიოდი გააცნო, რომლებიც თავიანთი შრომით ბევრი ახალგაზრდისთვის მისაბადი და სამაგალითო პიროვნებები გახდნენ. ეს ღვაწლმოსილი პედაგოგები განსაკუთრებით ნინო ბოსტორიანი, მერი თარაშვილი, ნანული ნატროშვილი და თამარ ალადაშვილი. თითოეულ მათგანს პედაგოგიური მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება უმაგრებს ზურგს, ათეულობით დაფრთხილებული და ცხოვრების ახალ გზაზე დაყენებული თაობა, წარმატებული მოსწავლეები და შემდეგ წარმატებული მოქალაქეებიც, რომლებიც დღესაც სიყვარულით იხსენებენ საკუთარი მასწავლებლების სიტბოსა და სიყვარულს. თითოეულ პედაგოგს უამრავი მოგონება აკავშირებს საკუთარ პროფესიასთან, მშობლიურ მხარესთან, ოჯახთან. ეტირებათ მათი სასუკვარი ადგილის - სკოლის გახსენებაზე, იხსენებენ საკუთარი მხარისა და რეგიონის სიყვარულით განსჭვალულ მეგობრებსა თუ ოჯახს. ნინო ბოსტორიანი მოსულ სტუმრებს ქიზიურს უფრო მეტად შეეყვარებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ **„თავისუფალ გლეხზე ბედნიერი არავინ არ არის“** და **„გლეხი, რომელიც ღვინოს ვერ უღალატებს, ის ქვეყნის ღალატსაც ვერასდროს შეძლებს“.** ღონისძიების მეორე ნაწილი დედოფლისწყაროს ისტორიის ერთ პატარა მონაკვეთს დაეთმო. რუსთაველის ქუჩის მეოთხე შესახვევში, დგას სახლი, რომელიც არანაირ ყურადღებას არ იქცევს. გარეგნული ეფექტი გამქრალია, მაგრამ ის საკმაოდ დიდი და დღეს იქ 8 ოჯახი ცხოვრობს. ერთ-ერთ სახლში შემორჩენილია ამ სახლის ძველი დიდების დეტალები. ბუხარა, რომელიც აშენებულია ძვირფასი მასალით და ხელოვნების უმშვენიერეს ნიმუშს წარმოადგენს. აღსანიშნავია მისი ჩუქურთმები, მოხატულობა და შემკულობა. უზარმაზარი სარკე და მარმარილოს ფეხებიანი დასადგამი, ეს სარკე გადმოცემის თანახმად, პარიზში უნდა ყოფილიყო დამზადებული და მისი მფლობელი ადგილობრივი დიდებული ქალბატონი ალექსანდრა ივანეს ასული ციციანოვა (ციციშვილი) გახლდათ. ლალი ბასილაშვილმა ძველი ბულვარის ქუჩა თავისი მაცხოვრებლებითა თუ სახლებით სრული სისაცხით დაუხატა მისულ სტუმრებს. **„მუზეუმი ეს ის სივრცეა, სადაც ისტორიას ნივთები ჰყვებიან. ერთი უკვდავია და არ გადაშენდება, თუ მისი ისტორია კარგად არის მოვლილი და დაცული. დედოფლისწყაროს ისტორია, მათ შორის ეს პატარა მონაკვეთი, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული და აღწერილი. ჩვენი ვალია, რომ ეს გამოვამხეუროთ და მივიტანოთ დამთავლებლად, მოსწავლეებთან, სტუდენტებთან თუ სხვა დაინტერესებულ პირებთან“** - აღნიშნა თავად ლალი ბასილაშვილმა.

ღონისძიებების დასასრულს, მისულმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს მუზეუმის თანამშრომლებს საინტერესო თემების განხილვისთვის, მიულოცეს მათ პროფესიული დღე და წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. **„სასიამოვნო და აუცილებელი შეხვედრა იყო, რადგან საინტერესო რამე იხსავს მუზეუმში, თურმე სულ სხვანაირი სახე ჰქონია დედოფლისწყაროს. მადლობა თქვენ ამისთვის და მადლობა მუზეუმს, რომ ასე საინტერესო და საჭირო ღონისძიებებს აწყობთ, იძიებთ ინფორმაციას და შემდეგ ამ ინფორმაციას ჩვენ გვანვით. მადლობა იმისთვის, რომ მოეფერეთ დამსახურებულ ადამიანებს, რასაც აკეთებთ ადამიანი, ის შემდეგ მას ბუმერანგით უბრუნდება - სიყვარულს გაცემთ, მადლიერებას გამოვხატავთ, მადლიერება დაგვიბრუნდება უკან. მადლობა ყველაფრისთვის.“** - განაცხადა თამარ ჯაბაშვილმა, მერიის განათლების, კულტურის, ახალგაზრდობის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა.

**\*\*\***  
მე-XVI საუკუნიდან კახეთის ბარში ინტენსიურად დაიწყო თუთია მიგრაცია. კახთა მეფე ლევანმა (1520-1575წ) ერთ-ერთმა პირველთაგანმა გაუხსნა გზა თუშებს შირაქის ველისკენ. შემდეგ იყო მეფე ერეკლე, რომელმაც თუშებს სიგელ-გუჯარი უბოძა, რის მიხედვითაც თუშების მფლობელობაში შირაქის ზამთრის საძოვრები გადადიოდა, სამაგიეროდ მათ მეფის ხაზინაში „საბალახე“ და საფოთლე


გადასახადი შეჰქონდათ, რადგან მინდორი არ იხენებოდა მხოლოდ საძოვრად იყო გათვალისწინებული. შემდეგ იყო მეფის რუსეთს, რომელმაც უზარმაზარი მიწები ჩაიგდო ხელთ შირაქში, ალაზნის პირას და ის საუბედლო მიწად - საუფლისწულო მიწად გამოაცხადა. შემდეგ იყო რუსეთიდან და თურქეთიდან ცარიზმის მიერ მოწვეული ხალხი, რომელსაც თითქმის მუქთად აძლევდნენ ნაყოფიერ მიწებს. ამან მთის ხალხის გულისწყრომა გამოიწვია და მათ მასიურად დაიწყეს ბარში ჩამოსახლება. პირველი დასახლების პროცესი სტიქიურ ხასიათს ატარებდა, მათ საჩივრებიც შეიტანეს მთავრობაში და თავიანთი ინტერესების დამცველად ვაჟა-ფშაველა აირჩიეს. 1905 წელს ვაჟა ქართველ მეცხვარეებს შირაქში ჩამოყვალა და ყამირი მიწა რომ დაუნახავს, უთქვამს **„ხალხო, მადანს მივადექით“.** მიწა დაუთხრია, ხელისგულზე დაუფშვინა და აღარც დაუსვენია, სანამ პირველი გუთნის კვალი თვითონ არ გაუვლია. ეს და სხვა მრავალი მოგონებისა თუ ინფორმაციის დამცველია დღეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ამ მცირე ინფორმაციის გარდა ის იხსავს უამრავ ინფორმაციას თუშებისა და ფშავლების ჩამოსახლების, მათი თანაცხოვრების, საშუალო პირობებისა თუ ტრადიციების შესახებ. დალი ბალაშვილმა საკმაოდ ამომწურავად მოიხილა ვაჟა - ფშაველას დამსახურება და ღვაწლი მთის ხალხის ჩამოსახლების საქმეში, ასევე ის ადამიანებიც გააცნო საზოგადოებას, რომლებიც მას მისი ბრძოლის დაწყებიდან ბოლომდე გვერდით ედგნენ. მათ შორის იყო გრიგოლ ვარდა-



შევი. მის მოგონებებსაც იხსავს მუზეუმი. ვთავაზობთ მცირე ამონარიდს: **„1914 წელს ვაჟა ქედში ჩამოვიდა. მოვიწვიეთ ყრილობა. იმ ყრილობაზე სწავიქცა ეს ღვაწლი ჩემთან ახლოს იჯდა და მითხრა რუსულად ვაჟას შესახებ (ალბათ ეგონა, ვაჟამ რუსული არ იცოდა): „აბა რა ნასწავლი კაცი, რუსულად ეგ არ ლაპარაკობს და ქართულადც არაფერს ამბობს, ასეთი საქმისთვის ნასწავლი კაცი უნდა აგერჩიათ“.** გაიგონა რა ეს ვაჟამ, არც აცია არც აცხელა, მარჯვენა ხელით ისე გასცხრა, ეს ღვაწლი 2-3 საუთნზე გაბრუნდა. თან მიადანა: **„უსწავლელი ადვოკატის სილა კარგად დაიხსომე, შენს გარდა თუშ მიერ ნაკრავი სხვასაც დღემდე არ დაიწყებია“.** ცისკარიშვილიც იქვე იდგა. მე ხალხი წინასწარ მყავდა გაფრთხილებული, თუ ჩხუბი ჩამოვარდებოდა, მზად ყოფილიყვნენ, ისე კი, რომ სისხლი არ დაღვრილიყო. ცისკარიშვილს ხმა არ ამოუღია. იცოდა თუ ხელს გაანძრევდა, ვაჟა მასაც დაოვივით მიიბეგავდა.“ **„რაკი დიდ შირაქში გუთანი ერთხელ შეიპარა ის აუცილებლად მოიხენებო - ვაჟას ამ სიტყვებით ხშირად მიგვიმართავს თუში მეცხვარეებისთვის და შევისხნება, რომ შირაქი მეცხვარეების გარდა მხენელ-მთესველსაც ეკუთვნოდაო“.** ღონისძიებას ვაჟა-ფშაველას მიერ ჩამოსახლებული ხალხის შთამომავლებიც ესწრებოდნენ, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს მუზეუმს საინტერესო ისტორიების გახსენებისა და ამ თემის ფართოდ წარმოჩენისთვის. მუზეუმს შრომისა და საინტერესო ღონისძიებებისთვის მადლობა გადაუხადეს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის უფროსმა ცარო მარტიამილმა, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა ილია მარტყოფლიშვილმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ლალი გურასაძემ და ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორმა ქეთევან მჭედლიშვილმა. **„მთის ხალხი საუკეთესო ხალხი არიან, განსხვავებული, თბილები და ძალიან ყურადღებიანები, ამიტომაც იმსახურებენ ისინი აქტიურ ყურადღებას, მათი პრობლემების მოსმენას და შეძლებისდაგვარად მოგვარებასაც“** - აღნიშნეს მათ.

**\*\*\***  
**„ქართული სახელმწიფოებრიობა მისი ეკონომიკური სიძლიერე, უძველესი დროიდან დაფუძნებული იყო სამ ბურჯზე: სოფლის მეურნეობაზე, მრეწველობაზე და ვაჭრობაზე. მევე-ნახეობიდან შემოსული შემოსავალი იმდენად დიდი იყო საქართველოს ეკონომიკაში, რომ საქართველოს დამპყრობლები ქართველების მოსადრეკად ხშირად ვენახებს ანადგურებდნენ, რათა ქვეყანა დამორჩილებინათ, ქართველი კაცის წარმოდგენაში ვაზი წმინდა მცენარე იყო და ამასთანავე ის „სიცოცხლის ხედ“ ითვლებოდა. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ქრისტიანობის გავრცელების მიზნით წმინდა ნინო ვაზის ჯვრით ხელში შეიპოვდა. ქართველმა ხალხმა მრავალი საუკუნის განმავლობაში ურიცხვ მტერთან ბრძოლაში შეინარჩუნა მატერიალური და სულიერი კულტურა. ერთ-ერთი ასეთი სულიერი კულტურის მაჩვენებელია ზედაშის ტრადიციის არსებობა. რა არის ზედაშე? ზედაშე, თანამედროვე გაგებით არის ადგილი, სადაც სიყვარულით და პატივისცემით მიდიან წინაპართა ადგილას და ქვევრთან სანთელს ანთებენ, ამავე წინაპართა გასახსენებლად“** - ასე მიმართა 23 მაისს გამართულ ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას მომხსენებელმა მარინა მხარაშვილმა, რომელმაც აქტიურად მოიხილა ზედაშის წარმოშობის ისტორია, მისი ძირითადი ასპექტები და ის კავშირი, რომელიც ზედაშეს აქვს ღვინოსთან და მარანთან. **„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სულხან-საბას მიხედვით, ზედაშე - შესანიშნავი ღვინოა. სხვადასხვა განმარტების მიხედვით კი ზედაშე ზიარების ან ჯვრისწერიის წესის შესრულებისას გამოსაყენებელი ნივთი ღვინო. საზედაშე ქვევრი და ღვინო**

ცალკე მოვლენა ქართულ მეღვინეობაში. საზედაშე ჭურჭელი კი ქვევრთან ასოცირდება. მისი დაყენება განსხვავდება როგორც ტექნოლოგიური, ისე შინაარსობრივი მხარით. ზედაშე იყო საოჯახო, საგვარო, საძმო, სასოფლო. ყველა რიტუალი საზედაშე ქვევრთან სრულდებოდა - იმართებოდა ლოცვა-ვედრებისა და შეწირვის რიტუალი, საოჯახო დღეობა სახლთანგელოზობა, გიორგობა, შობა და ა.შ.“ - აღნიშნა მარინა მხარაშვილმა. მსმენელში ზედაშეზე რიტუალების ჩატარების პრაქტიკამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილმა მსგავს პრაქტიკას წარმართული უწოდა და ის ქრისტიანული საზოგადოებისთვის მიუღებლად მიიჩნია. ხოლო, ნაწილი მსმენელისა ზედაშეს საგვარეულოს შეკრების, უკეთ გაცნობისა და დაახლოების ტრადიციად აღიქვამს, სასარგებლოდაც მიიჩნევს და მისი დაკარგვის ნიშანდევია. უმეტესობა სტუმრებისთვის ის უხილავი ძაფია აწყობისა და წარსულს შორის, რომლის განყვეტაც არ შეიძლება. გარდა ამისა, გაიუღერა აზრმა, რომ ზედაშე მეღვინეობის კულტურის უმაღლესი გამოვლინებაა. საზედაშე ღვინო ქართველი კაცი ადიდებს ცისა და ქვეყნის შემოქმედს და ეს ღვინოც მართლმადიდებლური წიგნის დროს მაცხოვრის სისხლად გარდაიქმნება. ზედაშის თემა გააგრძელა და ქართულ ხორბალზე ესაუბრა მსმენელს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა ნინო ჯაბაშვილმა. მან მოიხილა ქართული ხორბლის, მეურნეობის განვითარების და მარცვლეული კულტურის არსებობის ისტორია. ხაზი გაესვა იმა-საც, რომ მსოფლიოს გვარის ევოლუციის ისეთი ტიპები, როგორც საქართველოს ხორბალშია აღმოჩენილი. საქართველოში რეგისტრირებული და აღწერილია მისი 154-ზე მეტი სახესხვაობა და ჯიშთა მრავალფეროვნება. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოში ხორბალსა და პურს საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა და დღემდე უმნიშვნელოვანესი დატვირთვა აქვს ყოფაცხოვრებაში. **„ხორბალი და პური არამარტო შეუცვლელი ვალუტაა, არამედ მაღალმექანიზებული კულტურის პროდუქტაცა და შრომის ნაყოფიერების მაღალი დონითაც გამოირჩევა.“** აღნიშნა ნინო ჯაბაშვილმა. დამსწრე საზოგადოებას უშუალოდ შეეძლო დაეგემოვნებინა ის პროდუქტები, რომელიც ორივე მომხსენებლის მიერ განხილული თემების მთავარი ატრიბუტები იყო. ღონისძიება სიმბოლურად გაფორმებული იყო კახური შოთის პურით, ხორბლის თავთავებითა და ღვინოთი. ღონისძიების დასასრულს, დედოფლისწყაროს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის უფროსმა ილია მარტყოფლიშვილმა მადლობა გადაუხადა მუზეუმის თანამშრომლებს საინტერესო მუზეუმების კვირეულის ჩატარებისთვის, თითოეული თემის საინტერესოდ და სიღრმისეულად თემისთვის და კიდევ უფრო მეტი წარმატება უსურვა მათ მომავალ საქმიანობაში. გარდა ამისა, ღონისძიებაზე მისულმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ორგანიზატორებს დის-



კუსიებში ჩართვის შესაძლებლობისთვის. **\*\*\***  
მუზეუმების კვირეული დასრულდა. საინტერესო შინაარსით დატვირთულმა ღონისძიებებმა ბევრი დამთვალიერებელი და მისული სტუმარი კმაყოფილებით აავსო. მუზეუმების თანამშრომლები და მისი გულშემატკივრები, ახალი იდეებითა და გეგმებით, მომავალ წლამდე დაემშვიდობნენ „მუზეუმების კვირეულს“ და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ მუზეუმის განვითარება ერისა და საზოგადოების კულტურული განვითარების სანდარია.

კულტურული განვითარების სანდარია. **შუშუნა ჭანაშვილი**



# მოდის ღამე მუზეუმში...



მუზეუმების საერთაშორისო დღე მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს მიერ 1977 წლის 18 მაისს დაფუძნდა და ამ თარიღს საერთაშორისო საზოგადოება აღიარებს. „მოდის ღამე მუზეუმში“ - საფუძვლიანი ჩაიხარა 2005 წელს ევროსაბჭოს მიერ და მას შემდეგ რეგულარულად ტარდება ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში. მოგვიანებით, აქტივობა ფართო მასშტაბში მიიღო და გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. 2011 წელს აქტივობა საერთაშორისო შუამდგომლობის, თუმცა, მან თავდაპირველად ტრადიციული სახე ვერ მიიღო, ხოლო, 2015 წელს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივით იგი ტრადიციულ დამკვიდრდა.

აქციის მთავარი მიზანია, საზოგადოების ცნობიერების

ამაღლება მუზეუმების, მასში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ხელმისაწვდომობა და მათ საქმიანობაში სოციუმის აქტიური ჩართულობა.

ქვეყნის მასშტაბით, ლონისძიების ფარგლებში, ეროვნული მუზეუმის ინსტიტუციაში შემავალ ყველა მუზეუმში 18 მაისს, 21:00-დან 01:00 საათამდე ღია იყო საგამოფენო სივრცეები, მოეწყო საგანმანათლებლო პროგრამები, ლექციები, შემეცნებითი თამაშები, კონსტიტუციური და მუსიკალური წარმოდგენები და სხვა მრავალი აქტივობა ყველა ასაკის ვიზიტორისთვის.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება 18 მაისს ჩატარდა და მუზეუმების კვირეული გახსნილად გამოცხადდა.

ღონისძიებაზე „მოდის ღამე

მუზეუმში“ წარმოდგენილი იყო ახალგაზრდა მხატვრის, სოფიო კირვალიძის ნამუშევრები. დამსწრე საზოგადოებას ასევე საშუალება ჰქონდა მოესმინა ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ქართული გალობისა და ხალხური სიმღერის სკოლის გუნდის მრავალფეროვანი რეპერტუარი და დედოფლისწყაროელი პოეტების შემოქმედება.

მუზეუმის თანამშრომლებს პროფესიული დღე მიულოცეს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა, მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა თა-

მარ თამაზაშვილმა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორმა ილია მარტყოფლიშვილმა, ქ.დედოფლისწყაროს კულტურის სახლის ხელმძღვანელმა ცარო მარტიაშვილმა, მერიის თანამშრომელმა ნანული ნატროშვილმა და სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის თანამშრომელმა ლელა ბილიაშვილმა.

უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ლალი ბურასაშვილმა ღონისძიების გახსნისას გამოაცხადა, რომ პროგრამა არ იყო წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით და ყველაფერი უნდა შეს-

რულებულიყო ექსპრომტად. ცდამ გაამართლა, ტესტი ბრწყინვალედ ჩააბარა ჩვენი მუნიციპალიტეტის ნიჭიერმა საზოგადოებამ. არავინ იცოდა წინასწარ, ვის სთხოვდა ქალბატონი ლალი სიმღერას, ლექსის თქმას თუ სიტყვაში გამოსვლას, ადრენალინის დონე მაღალი იყო დარბაზში, თუმცა, სასიამოვნოდ მაღალი, გულთბილი ემოციები და საინტერესოდ შემდგარი სალონური საღამო მართლაც კიდევ ერთი მომავლისკენ გადადგმული ნაბიჯი გახლდათ ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

ელზა ხარაშვილი



## მუცოს რეაბილიტაციის პროექტმა ევროპული მემკვიდრეობის პრიზი მოიპოვა

პირიქითა ხევისკეთი გვიანი შუა საუკუნეების ციხე-სოფლის, მუცოს რეაბილიტაციის პროექტმა, კულტურული და გუნებრივი მემკვიდრეობის სფეროში ევროპის უმაღლესი აღიარების - ევროპული მემკვიდრეობის პრიზის/ევროპა ნოსტრას 2019 წლის ჯილდო მოიპოვა.

წლის საუკეთესო კონსერვაციის პროექტის ჯილდოს მინიჭებისას კონკურსის ფორმამ აღნიშნა, რომ მუცოს რეაბილიტაციის პროექტი ეხმარება მთის თემების დეპოპულაციის პრობლემას — გამოწვევას, რომლის წინაშეც მთელი ევროპა დგას. მუცოს რესტავრაციამ განაპირობა ადგილობრივი თემის ცნობიერების ამაღლება მათი არამატერიალური მემკვიდრეობისა და კავკასიელი ხალხის ისტორიის შესახებ, რამაც თავის მხრივ წახალისა მემკვიდრეობასთან მათი ურთიერთობის აღდგენა. ფიურიმ პრიორიტეტად მიიჩნია ტრადიციული ხელისნობის გაგრძელება, რამაც სამომავლოდ მისი შენარჩუნება უნდა უზრუნველყოს. ფიურის წევრებისთვის მისასაღებელი აღმოჩნდა რეაბილიტაციის პროცესში მრავალი გამოწვევის, მათ შორის რთული რელიეფისა და ინფრასტრუქტურის სიმწირის დაძლევის ფაქტორი.

მუცოს არქიტექტურული კომპლექსის რეაბილიტაციის პროექტი გამარჯვებულად 34 ქვეყნიდან წარდგენილი 149 განაცხადიდან შეირჩა. დაჯილ-



დოვების ცერემონია 2019 წლის 29 ოქტომბერს, პარიზში, ევროპული მემკვიდრეობის კონგრესის ფარგლებში გაიმართება. ცერემონიის მიმდინარეობისას დასახელება გრან პრის შვიდი ლაურეატი, რომელთაც პრიზის სახით 10 ათასი ევრო გადაეცემა.

მუცოს აღდგენისა და გადარჩენის პროექტს 2014 წლიდან საქართველოს მთავრობისა და ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ახორციელებს. პროექტის ბიუჯეტი 2 665 000 ლარია. 2018 წელს დასრულდა რეაბილიტაციის მე-4 ეტაპი.

აღდგა 20-მდე ციხე-კოშკი. პროექტის განხორციელებაში ჩართული იყო ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებმაც ფიქალის მშრალი ნყოფის მივიწყებული ტრადიციული ტექნიკა მეზობელი რეგიონის ქისტის ოსტატებისგან ათვისეს. რეაბილიტაციის შემდეგ შესაძლებელია კომპლექსის ათვისება საცხოვრებლად. მუცოში ამოქმედდა მუზეუმ-ნაკრძალი, რომელიც ტერიტორიის ყოველდღიურ მართვას განახორციელებს.

კონსერვაციის კატეგორიის ნომინაციაში ევროპული მემკვიდრეობის პრიზი/ევროპა ნოსტრას ჯილდო მუ-

ცოს კომპლექსთან ერთად მოიპოვეს შემდეგმა სარეაბილიტაციო პროექტებმა:

1. მონტრეი ბონის სასახლე - საფრანგეთი;
2. ქრისტეს სუდარის ტურინის კაპელა - იტალია;
3. წმინდა ბავოს საკათედრო ტაძარი - ჰაარლემი, ჰოლანდია;
4. დედოფალ ლუიზ ედიტის კომპლექსი - ზაბჟე, პოლონეთი;
5. არქეოლოგიური ნაშთების გამოსაფენი პავილიონი - სელჟე, სლოვენია;
6. ს'ჰოსტალის ქვის კარიერი - მენორკა, ესპანეთი;
7. პარტალის სასახლის სამლოცველო - ალჰამბრა, გრენადა - ესპანეთი;
8. დიდების კარიბჭე - სანტიაგო დე კომპოსტელა - ესპანეთი;
9. შუა საუკუნეების ბელელი - ინგატორფი - შვედეთი;
10. ირ ისგვინი, თრაუსფინიდი - უელსი, გაერთიანებული სამეფო.

ევროპა ნოსტრა აერთიანებს ევროპის 40 ქვეყანას და მიზნად ისახავს ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას. ევროპა ნოსტრა დაარსდა 1963 წელს და დღეისთვის იგი ყველაზე წარმომადგენლობითი ევროპული ქსელია. ორგანიზაციის პრეზიდენტი მსოფლიოში ცნობილი ოპერის მომღერალი და დირიჟორი პლასიდო დომინგო.



# ვუნდერკინდი დედოფლისწყაროში

ჭაღრაკი – ინტელექტუალური თამაში, რომელიც ორბანულადაა შეარწყული ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ელემენტები. ჭაღრაკი ხელს უწყობს აზროვნების, ლოგიკის, ყურადღების კონცენტრაციის, თვითკრიტიკის განვითარებასა და გამარჯვებისაკენ სწრაფვას.



ლი მარცვალი. გამოვიდა, რომ სინს ეკუთვნოდა 18.446.744.073.709.551.615 (თვრამეტი კვირტილიონ ოთხასორმოცდაექვსი კვადრილიონ შვიდას ორმოცდაოთხი ტრილიონ სამოცდაცამეტი მილიარდ შვიდასცხრა მილიონ ხუთას ორმოცდათერთმეტი ათას ექვსას თხუთმეტი) ცალი მარცვალი. რაჯას მოახსენეს, რომ ამ რაოდენობის მარცვალი დედამინას ხუთ სანტიმეტრიანი ფენით დაფარავდა და გადასაზიდად ათი ათასი ულელი ხარკამეჩი არ ეყოფოდა.

აი, ასეთია ამ ინტელექტუალური თამაშის ისტორია. რაოდენ გულდასწყვეტია, რომ სხვა რაიონებში საკმაო ყურადღება ეთმობა ჭაღრაკის შესწავლას და მომავალი თაობის დაინტერესებას ჭაღრაკის მიმართ. დედოფლისწყაროში სულ სამი თვეა, საკუთარი ხარჯებით და დიდი ენთუზიაზმით, სრულიად უანგაროდ, სათავეში ჩაუდგა ჭაღრაკის წრეს ბატონი გიორგი კიკილაშვილი, რომელიც უშურველად გადასცემს მომავალ თაობას თავის ცოდნას და გამოცდილებას. ჩვენ ვენიჭებთ ბატონ გიორგის და გავესაუბრეთ მას. „ამჟამად ჭაღრაკის წრეში გაერთიანებულია ორმოცამდე ბავშვი. ისინი განაწილებული გვყავს ასაკისა და უნარ-ჩვევების მიხედვით. ჩამოყალიბებულია სამი ჯგუფი. საკმაოდ იმედისმომცემი ბავშვები არიან, სწავლობენ, შრომობენ და ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.“ – ამბობს ის.

ჭაღრაკის თამაში მკაფიოდ ვლინდება პიროვნების ხასიათის ინდივიდუალური თავისებურებანი. ჭაღრაკი ინფორმაციის, მკვლევარების აზრით, VI საუკუნეში გამოიგონეს. მისი შექმნის შიდახეობა მრავალი ლეგენდა არსებობს. ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად პინამ სინამ ღილხანს ფიქრისა და შრომის შედეგად გამოიგონა ჭაღრაკი. მან თავისი გამოგონება სამეფო თამაშად მიიჩნია და რაჯას მიართვა. რაჯა ღილხანს კმაყოფილი დარჩენილა ნაგოქამო თამაშით, მოსწონებია ჭაღრაკში ჩაბმული შრომის სიბრძნე.

– რით დავასაჩუქრო კარგი თამაშის გამოგონებისათვის? – უკითხავს რაჯას.

– მინდა, რომ იმდენი ხორბლის მარცვალი მომცეთ, რამდენიც მომიწევს ჭაღრაკის სათამაშო დაფიდან, თუ პირველ უჯრაზე ერთ მარცვალს დადებენ, მეორეზე ორს, მესამეზე – ოთხს, მეოთხეზე – რვას, მეხუთეზე – თექვსმეტს, მეექვსეზე – ოცდათორმეტს და ასე შემდეგ (გეომეტრიული პროგრესიის მიხედვით). რაჯას გასცინებია – საწყალ კაცს მოშიებიაო და ბრძანა დაეთვალიათ და მიეცათ სინისთვის კუთვნი-

ლებში ბავშვების რეგისტრაცია, ასევე სკოლებში პირველკლასელების, ასე რომ, ყველა მშობელს უმორჩილესად ვთხოვთ, გადაამოწმონ ბავშვების აცრის კალენდარი. თუ ბავშვი არ არის აცრილი ორჯერ 1-დან 5 წლის ასაკამდე, აუცილებლად აცრან, რადგან წითელა არის არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ევროპაში”, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

მისი თქმით, „დღეს, ბაღებში და სკოლებში, ბავშვების წითელაზე ასაცრელად რეგისტრაცია მიმდინარეობს.

„ჯერჯერობით წითელას სტაბილიზაცია არის და მცირდება შემთხვევების რაოდენობა, მაგრამ ჯერ კიდევ არის, ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მოსახლეობას აცრისკენ, რადგან წითელას ვერაფერი ვერ შეაჩერებდა აცრების გარდა. წელს დამატებით უკვე 140 000 ადამიანი აცერით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. დღეს მიმდინარეობს ბა-

დასაწყისია. აუცილებლად უნდა ითამაშოთ, მიიღოთ ტურნირებში მონაწილეობა, გახდეთ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები, რადგან ქართველებს ამაში დიდი გამოცდილება და ტრადიციები გვაქვს. დღეს ჩამოვიყვანე დათა, რომ ითამაშოს თქვენთან ერთად, ნახოთ როგორ ითამაშოს ჭაღრაკს და რა შეუძლია. მას ჭაღრაკის თამაში ერთდროულად ათ, ოც, ორმოცდაათ და ას დაფაზეც კი შეუძლია, თანაც ძალიან კარგად. რაც შეეხება ჭაღრაკის სწავლას, უნდა იმეცადინოთ კვირაში ორი ან სამი დღე აუცილებლად. რადგან თქვენს რაიონში ჭაღრაკი დაიწყო ბატონმა გიორგიმ, თანაც გავიგეთ რომ საკუთარი ენთუზიაზმით, ჩვენ ყველანაირად დავეხმარებით, ვეცდებით რომ ხელფასი დავუნიშნოთ, ჩამოვიტანოთ მაგიდები, ჭაღრაკი და საჭირო ლიტერატურა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ თქვენთან ჭაღრაკის თამაშის კულტურა მაღალ დონეზე იყოს. სიღნაღში, ლაგოდეხში, თელავში, ყვარელში ფუნქციონირებს ჭაღრაკის კლუბი. აქ ოთახი მაინც უნდა გავხსნათ და ორი სამი წლის შემდეგ ვიფიქრებთ, რომ გაიხსნას ჭაღრაკის კლუბიც. იმედია თქვენი ხელმძღვანელობა ამოგიდგებათ მხარში და თქვენი ბავშვებიც აჩვენებენ მაღალ შედეგებს. დღეს ადვილია მიაღწიოთ წარმატებას და გახვიდეთ მსოფლიო ასპარეზზე. მთავარია ბევრი წიგნის კითხვა და ამავე დროს ბევრი პრაქტიკული თამაში“.

ჩვენ გავესაუბრეთ დათას დედას. მიღწეული წარმატებების პარალელურად, აღმოჩნდა, რომ დათა სკოლაშიც საუკეთესო მოსწავლეა. თავისი სიბეჯითითა და მონღო-მებით მეორე კლასელმა ბავშვმა უკვე დიდ წარმატებას მიაღწია და იმედია, მომავალშიც ბევრჯერ ასახელებს საქართველოს.

ბატონმა გიორგიმაც მიმართა ბავშვებს: „დათამ სულ ორად ორი წელია რაც ჭაღრაკის თამაში დაიწყო. აქ თქვენ ხართ ბავშვები, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია თამაშობთ, მაგრამ დათამ თავისი სიბეჯითითა და გულმოდგინებით მიაღწია უკვე დიდ წარმატებას. იმედია, თქვენც უფრო სერიოზულად მიუდგებით ამ საქმეს, ბევრს იშრომებთ და მომავალში გვექნება შესაძლებლობა მრავალი წარმატება მოგილოცოთ.“

გახეთი „შირაქი“

წარმატებას უსურვებს ბატონ გიორგის და მის მოსწავლეებს და გთავაზობთ რამდენიმე ცნობილი ადამიანის შეხედულებას ჭაღრაკზე, რომელიც მის შეყვარებაში კიდევ უფრო დაგეხმარებათ: „შენ უფრო მეტს შეიძენ ერთი წაგებით, ვიდრე ასი მოგებით.“ – ჟოზე რაულ კაპაბლანკა

„როდესაც ეჭვი გაქვთ, მოკალით პაიკი“ – უილიამ სტაინიჩი

„ჭაღრაკი ცხოვრებაა“ – რობი ფიშერი

„ჭაღრაკის 99% ტაქტიკაა.“ – რიჩარდ ტაიჩმანი

„ჭაღრაკს ისე როგორც სიყვარულს, ისე როგორც მუსიკას, აქვს ძალა გაახაროს ადამიანი“ – დოქტორი ზიგბერტ ტარაში

„ხანდახან უხეირო გეგმა ჯობია გემის არ ქონას.“ – მიხეილ გრიგორინი

„გამსვლელი პაიკის ძალა იზრდება იმ დროს როდესაც დაფის დასასრულამდე მცირე მანძილი რჩება“ – ჟოზე რაულ კაპაბლანკა

„როდესაც ხედავთ კარგ სვლას, მოიცადეთ ნუ გააკეთებთ მას, ეძებთ უკეთესი.“ – ემანუელ ლასკერი

„პარტის დაწყების წინ გამორთეთ მობილური!“ – ლელა თანდაშვილი

„თანამედროვე მოჭაღრაკის მომზადება ყოველმხრივი უნდა იყოს. მასში დამოუკიდებელი გამოკვლევებიც და კლასიკოსების შესწავლა იგულისხმება“ – ანატოლი კარპოვი.

მომავლად  
საბუნა ბენაშვილი



## ამირან გამყრელიძე - ყველა მშობელს უმორჩილესად ვთხოვთ, თუ ბავშვი არ არის აცრილი წითელაზე ორჯერ 1-დან 5 წლის ასაკამდე, აუცილებლად აცრან

თუ ბავშვი წითელაზე 1-დან 5 წლის ასაკამდე ორჯერ არ არის აცრილი, აუცილებლად ასაცრელია, რადგან წითელა არის არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ევროპაში”, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.

მისი თქმით, „დღეს, ბაღებში და სკოლებში, ბავშვების წითელაზე ასაცრელად რეგისტრაცია მიმდინარეობს.

„ჯერჯერობით წითელას სტაბილიზაცია არის და მცირდება შემთხვევების რაოდენობა, მაგრამ ჯერ კიდევ არის, ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მოსახლეობას აცრისკენ, რადგან წითელას ვერაფერი ვერ შეაჩერებდა აცრების გარდა. წელს დამატებით უკვე 140 000 ადამიანი აცერით, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. დღეს მიმდინარეობს ბა-

ლებში ბავშვების რეგისტრაცია, ასევე სკოლებში პირველკლასელების, ასე რომ, ყველა მშობელს უმორჩილესად ვთხოვთ, გადაამოწმონ ბავშვების აცრის კალენდარი. თუ ბავშვი არ არის აცრილი ორჯერ 1-დან 5 წლის ასაკამდე, აუცილებლად აცრან, რადგან წითელა არის არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს ევროპაში”, – განაცხადა გამყრელიძემ.

რაც შეეხება გადამტანებით გადაცემადი დაავადებების სეზონს, რა დროსაც ტკიპები აქტიურობენ, ამირან გამყრელიძის თქმით, ტკიპები დათბობისთანავე დაიწყებენ სხვადასხვა დაავადებების გადატანას.

„უკვე, როგორც კი თბება, ტკიპებს გადააქვთ სხვადასხვა დაავადებები. რა თქმა უნდა, უნდა ვიყოთ ფრთხილად“, – აღნიშნა გამყრელიძემ.





# როცა ასეთი სიყვარულია

ქართული საოპერო ხელოვნების დიდი მოღვაწე, კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი აღნიშნავდა: 'ყოველი ერის ზნე-ჩვეულებები და ხასიათი სიმღერაში გამოიხატება, იმ სიმღერაში, რომელიც თვით მას ათავსი ნლობით შეუქმნია და თავის ჩამოშვებისათვის გადაუცია. მე ვგონებ, რომ არა ყოფილა ქვეყანა ზედ იმისთანა ხალხი, რომელსაც არა ჰქონოდა სიმღერა, გამომხატველი მისი ყოფა-ცხოვრებისაგან'.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილი წერილი გვამცნობდა: „მშობლიურ სიმღერებში, სიმღერებში ერთ რიგად ნათლად ჩანს სრულიად ერის სულისკვეთება, მისი ყოფა-მდგომარეობა, მწერლობასთან ერთად ხალხური მუსიკა, სხვადასხვა დროის პანგები, ნათლად აჩვენებენ, თუ იგი ერი ამა თუ იმ ხანში რას განიცდიდა. მწერლობასთან ერთად მუსიკა, თუ გნებავთ, სწორედ ბარომეტრია ერის ყოფაცხოვრებისა“.

ცნობილი მომღერალი და საკუთარი სიმღერების მუსიკის ავტორი ინოლა გურგელია ასე გემოდღვრავდა:

„პირველად იყო სიმღერა, სიმღერა მრავალხმიანი და სიმღერისთვის შეიქმნა, სიყვარულისთვის შეიქმნა ადამიანი!“

მართლაც განუზომელია სიმღერის ძალა და მნიშვნელობა. იგი ამაღლებს, აფაქიზებს ადამიანის სულს.

ჩემი აზრით, მუსიკის სიყვარული არ ისწავლება, იგი თანდაყოლილი უნარია. როგორც რუსთაველი აღნიშნავდა, ავთანდილის სიმღერაზე „წყლით ქვანაცა გამოსხდინა“.

მუსიკალური გულგრილობა, მგონი „ფიზიოლოგიური დეფექტია“.

დიდი მნიშვნელობა აქვს ხელმძღვანელს, ლობჯინაძეს, მის მხრებზე გადადის მოზარდების „სულის გაფაქიზება“, მუსიკალური გემოვნების განვითარება-ამაღლება.

თუმცა, როგორც სულმნათი აკაკი იტყობდა, „მაგრამ მარტო წერთან რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“.

როგორ შეიძლება მსმენელი არ აღაფრთოვანოს სვანური „ლილეს“ მოსმენამ, მსოფლიო მუსიკალურ ფილკლორში არ

მოიძებნება უფრო დიადი ჰიმნი მზისადმი. სვანეთის ზვიად მთებს უნდა წარმოეშვა ეს სიმღერა.

ქართველი კაცის უკომპრომისო და ვაჟკაცურ სულს გამოხატავს კახური სიმღერა: „არ გაეხაროს მტერსა ჩემს ზედა, ნუმც ნურაოდეს გაუხარია“.

სავსებით სამართლიანია გამოთქმა: „შრომამ შექმნა ადამიანი“. და ისიც ბუნებრივია, შრომის პროცესში შეიქმნა სიმღერა: შრომა და სიმღერა, როგორც იტყვიან, განუყოფელია. ოდითგანვე ქართველი კაცი ლხინსა თუ ჭირში, შრომის პროცესში მღეროდა, გულს არაფრით იტყებდა, ოპტიმისტურად იყო განწყობილი, მაშ რით უნდა აიხსნას შრომის პრო-



ცესის ამსახველი სიმღერები: „ოროველა“, „კალოსპირული“, „ცელო, მოუსეი ბალახსა“, „გლესავ და გლესავ, ნამგალო“, „ურმული“, და სხვა.

მიყვარს მუსიკა, მიყვარს სიმღერა, ვმღეროდი ანსამბლში; უნივერსიტეტში, სკოლაში, რაიონისა თუ სოფლის მომღერალთა გუნდებში. მეამაყება, რომ ჩემს ყოფილ მოსწავლე ლადო ათანელთან ერთად ვმღეროდი, სიმღერამ ბევრი მეგობარი შემიძინა. ხალხთან ურთიერთობამ რამდენიმე კითხვა დამისვა და სათანადო დასკვნაც გამომატანინა.

როგორი ადამიანია პატივისცემი? პასუხი ასეთია:

- ვინც არ ინიღბება, პირდაპირია.
- ვისაც სხვისი არაფერი შურს და სხვისი კარგი გაუხარდება.
- ვინც უანგაროა სამშობლოსა და მე-

გობრებისადმი სიყვარულში.

- ვინც ერთი წამითაც არ ცრუობს.
- ვინც თავისთავთან მართალია მართობისას!

- ვინც ნიჭიერია და ჭეშმარიტი მცოდნე თავის საქმის.

- ნათქვამია; ადამიანის ფასი საქმეა მისი.

- სწორედ საქმის ცოდნითა და სიყვარულით გამოირჩევიან: დედოფლისწყაროს ხელოვნების სკოლის დირექტორი, გოგონათა ანსამბლ „მანდილის“ ხელმძღვანელი ქალბატონი დალი ქალაქიანი და დედოფლისწყაროს სარაიონო კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდულ ანსამბლ „ედელვაისის“ ხელმძღვანელი ქალბატონი ნინო ნიჭიერი. ისინი არამარტო ჩემი შვილიშვილების, არამედ დედოფლისწყაროელი მუსიკისმოყვარული ახალგაზრდების კერები არიან.

- როგორც იტყვიან: „სიყვარული-სიყვარულის ნიღ“. ბავშვებს მოსწონთ და უხარიათ ამ მასწავლებლებთან მისვლა. აქ მათ ხვდებათ გულთბილი გარემო, სიახლენი მუსიკატმცოდნეობაში.

- რაიონულ გაზეთ „შირაქში“ 2018 წლის 2-9 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი სათაურით „ხელოვნების სკოლაში ანსამბლ „მანდილის“ 10 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა“.

- მასში ვკითხულობთ: რამდენიმე დღის წინ ხელოვნების სკოლაში ანსამბლ „მანდილის“ 10 წლის საიუბილეო საღამო გაიმართა. როგორც ყოველი დედოფლისწყაროელი, ცხადია, მეც დიდი თავანისმცემელი ვარ დალი ელისაშვილის და მისი გოგონების გუნდის, რამეთუ ვერცერთი ადამიანი გულგრილად ვერ მოისმენს ნიჭიერი ქიზიყელი გოგონების ნამღერს. შეუძლებელია, მოუსმინო ღიზი ყოჩიანის, მის დებს ანასტასიასა და მარიამს და თვალზე სიხარულის ცრემლი არ მოგადგეს. მათი სიმღერა მაგრძობინებს, რომ ჩვენ ძლიერი ერი ვართ, რომელსაც ბრწყინვალე წარსული, ანმყო და

მომავალი გვაქვს, ამ ყველაფრის სულის ჩამდგმელი კი ქალბატონი დალი ელისაშვილი გახლავთ“.

- „ნამყვანი სოლისტები არიან ღიზი ყოჩიანის და მარიამ ჯორჯოშვილი, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ. ამჟამად გამართულ მეოთხე საგუნდო კონკურსზე მათ გამარჯვებს ნომინაციაში „საუკეთესო კახური დუეტი“ და ანსამბლთან ერთად იმღერებენ კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. მარშან საგუნდო კონკურსზე პირველი ადგილი და ვერცხლის მედალი მივიღეთ, ხოლო ღიზი ყოჩიანის დასახელდა კონკურსის საუკეთესო სოლისტ გოგონად. ამას გარდა, დებმა ყოჩიანისებმა პირველი ადგილი და ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, ხოლო დებმა ლოლაშვილებმა - ვერცხლის მედალი“.

- ამჟამად ანსამბლში 15 გოგონაა, რომელთა შორის გამოირჩევიან სოლისტები: მარიამ ჯორჯოშვილი, ღიზი ყოჩიანისი, მალვინა ისმაილოვა, ნათია ჯანაშვილი, და სხვები- ამბობს ჩვენთან საუბარში დალი ელისაშვილი.

- ანსამბლ „ედელვაისის“, რომლის ხელმძღვანელია ნიჭიერი ქალბატონი ნინო ნიჭიერი, რეპერტუარში აქვს თანამედროვე ქართული და უცხოური სიმღერები „რეტროს“ ჟანრში. ამ ანსამბლმა, ქალბატონ ნინოს ხელმძღვანელობით, მრავალგან და მრავალჯერ დიდ წარმატებებს მიაღწია.

- რამდენიმე დღის წინ, ქალაქ თბილისში ჩატარდა „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული კოლექტივების მეზობელი“ ეროვნული კონკურსი“. საბოლოო შედეგებმა ძალიან გაგვახარა. ორივე გუნდმა დიდ წარმატებას მიაღწია.

- ანსამბლი „მანდილი“ (ხელმძღვანელი დალი ელისაშვილი) - პირველი ადგილი და ბრინჯაოს მედალი.

- ანსამბლი „ედელვაისი“ (ხელმძღვანელი ნინო ნიჭიერი) - მეორე ადგილი და ბრინჯაოს მედალი.

- მონაწილეთა მშობლებისა და ახლობლების სახელით წარმატებას ვულოცავთ ორივე ანსამბლის წევრებს და მათ ხელმძღვანელებს: დალი ელისაშვილსა და ნინო ნიჭიერს და ახალ-ახალ წარმატებებს ვუსურვებთ მათ.

ეგული ყოჩიანისი

## კითხვები საზღვრის ორივე მხარეს

28 მაისს ქართველი აქტივისტები დავით გარეჯის დასაცავად იკრიბებიან. მიზეზი ჩინიტიურის მონასტრის მიმდებარე ბუღდოზურების უწყვეტი მუშაობაა. სასულიერო პირები და სამოქალაქო აქტივისტები ამბობენ, რომ აზერბაიჯანული მხარე იქ გზას ახევენ. არც საქართველოს და არც აზერბაიჯანის საგარეო უწყება უსტყვანა განმარტებებს არ იძლევა. ამ ფონზე მიმდინარეობს ბაქოში ორი ქვეყნის საგარეო უწყებების შეხვედრა, სადაც საზღვრის დელიმიტაციის თემაზე მსჯელობენ.

ჩიდალის სახელმწიფო ისტორიულ-კულტურული ნაკრძალის სახელს ატარებს. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანი ლიდალა აბაზოვა ამბობს, რომ ქეჩიქი დალაში გზის მშენებლობა საგარეო საქმეთა სამინისტროს არ ეხება და ეს ქვეყნის შიდა საკითხია. აზერბაიჯანის გზების სახელმწიფო სააგენტო კი საერთოდ უარყოფს რაიმე გზის შენებას აღნიშნულ არეალში.

დავით გარეჯის მამათა მონასტრის არქიმანდრიტი, კირიონი (ონიანი), ამბობს, რომ რაც გარეჯში ხდება, „ვანდალიზმა“.

„სამი უზარმაზარი ბუღდოზური მუშაობს, იმხელა გზა გაწყავეთ, რომ ორი მანქანა თავისუფლად აუქცევს ერთმანეთს გვერდს. მათი კონტროლირებადი ტერიტორიად იწყებენ ამოსვლას და გზა ამოწყავეთ ჩინიტიურის კოშკის მიმართულებით,“ - ამბობს არქიმანდრიტი.

### მონატრება

**ნიკოლოზ ჩიბუხაშვილი**  
ჯერ კიდევ გვიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. ყველას ძალიან გვაკლია ის სიტბო, რომელსაც ასხივებდი და რომელიც ყველა ჩვენგანის გულში შემოგქონდა. ჩვენი ურთიერთობა დაინყო პირველი კლასიდან და სამწუხაროდ, მეთერთმეტე კლასში დასრულდა, თუმცა სამუდამოდ გვემახსოვრები: კეთილი, ბედნიერი, სახზე გულწრფელი ღიმილით. გვემახსოვრები, როგორ მოდიოდი ხალხის სკოლაში და ჩვენც გვიღამაზებდი დატვირთულ დღეებს. ნეტავ დღეს ჩვენს გვერდით იყო. უზომოდ გვენატრები და ძალიან გვიყვარხარ.

სიყვარულით, დედოფლისწყაროს | სავარკო სკოლის XII-ე კლასის მოსწავლეები.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალიამ 23 მაისს თქვა, რომ აზერბაიჯანული მხარე სამუშაოებს თავის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ანარმობდა.

თუმცა რადიო თავისუფლებას ნაკრძალის ადმინისტრაციაში უთხრეს, რომ ღიზისძიება ავტოკოლონების მონაწილეობით 18 აპრილს უკვე ჩატარეს და 28 მაისს აღარაფერი მოხდება. უკვე ჩატარებულ ღიზისძიებაზე აზერბაიჯანის კულტურის სამინისტროს გვერდზეც მოიპოვება ცნობები. მათი თქმით, ნაკრძალში მხოლოდ ექსკურსიები ეწყობა.

აქტივისტები, რომლებიც ყოველდღე ადიან დავით გარეჯში, ამბობენ, რომ ბუღდოზურების მუშაობა მიწის ვიბრაციასაც იწვევს და ამიტომ მათ ისტორიული ნაგებობების მდგომარეობა ალერებთ.

### სსმ36ა

#### გია ხარაშვილი

ჩემო საყვარელო გია, ამა წლის 22 მარტი უმძიმესი დღე იყო ყველა შენი ახლობლისათვის. სულ ორი თვეა, რაც ნახვედი ჩვენგან. გია, შენ ხომ დარწმუნებული იყავი ყველა ჩვენთაგანის სიყვარულში. ყველა უზომოდ გვენატრები. გია, მგონია, რომ ისევ საიდანაც მოხვალ, ისევ შემოაღებ კარს, შენი სანდომიანი ღიმილით და ჭალარა თმით.

სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის სამთავრობო კომისია, პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის ბრძანებით, 10 მაისს დამტკიცდა. მასში 20 წევრი შედის.

აზერბაიჯანული მედიით გავრცელებული ინფორმაციით ქემიქიდალის ნაკრძალს კულტურის სამინისტრო მალე კონსერვაციას ჩაუტარებს და გაამდიერებს მის დაცვას. აშენდება ადმინისტრაციული შენობა თანამშრომლებისთვის და განახლდება გზები. სამუშაოების შესასრულებელი ადგილები სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ტელმან ქერიძემ მოინახულა. მისი თქმით ნაკრძალში თანამედროვე ინფრასტრუქტურა მოწყობა დამთვალეირებლებისთვის.

გარეჯში მიმდინარე მშენებლობის ვიდეოკადრებს ავრცელებს დავით ქაცარავაც, წარმომადგენელი ანტისაკოუპაციო მოძრაობისა „ძალა ერთობაშია“.

„როგორც ჩვენთვის ცნობილია, დელიმიტაციის კომისიას არ დაუსრულებია მუშაობა, არაფერი გარეჯთან რეალურად გარკვეული არ არის. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სამთავრობო კომისია დუმს. აზერბაიჯანულმა მხარემ კი დაინყო მუშაობა. სასწრაფოდ ვითხოვთ ჩვენი ხელისუფლებისგან პასუხს“, - წერს დავით ქაცარავა სოციალურ ქსელში.

ჩემო გულალალმართალო ბიძაშვილო, თუ ვინმესთან რამდენიმე წუთით ურთიერთობა მაინც გქონია, ყველა თვალცრემლიანი და გულდანყვეტილია შენი ამ ქვეყნიდან წასვლის გამო.

გია, ძალიან მიჭირს რეალობასთან შეგუება, მიჭირს შენი პატარა ირაკლის დანახვა, რომელიც შენ უსაზღვროდ გიყვარდა და გენატრებოდა. გია, შენი გული სავესე იყო

დიდი სიყვარულით, ყველას სიხარული გიხაროდა, ყველას ტკივილი გტკიოდა... ვაი, რომ შენი ტკივილი, ალბათ, ისე ვერ გავითავისეთ, შენ როგორც იმსახურებდი... გია, ჩემო ლამაზო ბიჭო, ყოველდღიურად დამერთა შენ ვითოვ, ნათელში ამყოფოს შენი სული და მოგიშუშოს დარდიანი გული.

შენი მამიდაშვილი  
თამარსკო ჯარინაშვილი,  
სოფელი მირზანი.

### საქართველოში პასუს ითხოვენ

ის, რაც დავით გარეჯს აზერბაიჯანის მხრიდან ესაზღვრება, ქემიქ-

კითხვები ორივე მხარეს უპასუხოდ რჩება, მოლაპარაკებების პროცესი კი ბაქოში გრძელდება. საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის დელიმიტაციის საკითხზე სამთავრობო კომისია უკვე 23 წელია მუშაობს. დღემდე ტერიტორიის 30% დასაზუსტებელია, მათ შორის ის მონაკვეთიც, სადაც ისტორიული ძეგლი დავით გარეჯი მდებარეობს.



# „თქვენი გადღის და გარჯის წყალობით, გზას ცხოვრებაში სიკეთით ვაგნებთ“

„თქვენი აზრით, რას შეიძლება ელოდოს ადამიანი 12 წლის განმავლობაში?“ - ასე მიმართა არბოშიკის სკოლის ურთიერთდახმავებელმა თაკო ალადაშვილმა მოსულ სტუმრებს და თან ისიც შეგვხსენა, რომ ამაზე პასუხი შეიძლება განსხვავებული იყოს. თაკო სრულიად მართალია. ადამიანი ამოუცნობი არსებაა და არასოდეს იცი, რას შეიძლება ფიქრობდეს, გრძობდეს ან აკეთებდეს, მაგრამ ჩვენი ცხოვრება ეტაპებად თავისთავად დაიყოფა და სკოლაში შესვლის, სკოლაში ყოფნისა თუ მისი დამთავრების დღე, იმ აუცილებელი და მნიშვნელოვანი ეტაპებს შორისაა, რომელიც ადამიანს უნდა განაწილოს, სკოლის დამთავრება ის დღეა, რომლის შემდგომაც შორს, უსასრულო მოგზაურობაში მიდიხარ და უკან საუკეთესო ტოვებ. სილაღის, სიანცის, აუღელვებლობის, ენარბიტი სავსე ათეულ წელზე მიტყდა.

23 მაისს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლაში მისი არსებობის პერიოდში 79-ე თაობის 13 მოსწავლეთი გაუშვა ცხოვრების ახალ გზაზე. მოსწავლეები: თაკო ალადაშვილი, გიორგი დათუაშვილი, გიორგი ელაშვილი, ლევან კაკალაშვილი, ელენე მარტყოფილი, გიორგი ნატროშვილი, ნინო ნატროშვილი, მათე ოზაშვილი, გურამ პატატიშვილი, ილია ტურიაშვილი, მარიამ ფათალიშვილი, ტარიელ ცხვედიანი, ნიკა ხუციშვილი, მათი კლასის დამრიგებელმა, ირმა მეხრიშვილმა ემოციურად გააცხილა ცხოვრების გრძელ და ამავდროულად ახალ გზაზე და აღნიშნა: „იყო კლასის

დამრიგებელი ნიშნავს ბავშვის მშობელივით გიძგერდეს გული, მათთან ერთად იყო წლების განმავლობაში და ამ გზის დასასრულს ყველაზე საპასუხისმგებლო კითხვას გასცე პასუხი: როგორი ადამიანიები მიდიან სკოლიდან? მიხარია, რომ დღეს მათ ასეთ დაფრთხილებულ და ლამაზებს ვხედავ, ვულოცავ და სავალ გზას დაველოცავ მათ. მიხარია, რომ მათთვის ამ გზაზე მუდმივად სისხარულის ზარები რეკდნენ“.

სკოლის დამთავრება კურსდამთავრებულებს არბოშიკის საჯარო სკოლის დირექტორმა მანანა ჭილიტაშვილმაც მიულოცა: „დღეს მართლაც ემოციური დღეა. არბოშიკის სკოლის ისტორია 1924 წლიდან იწყება და აღსანიშნავია, რომ ეს კლასი სკოლის 79-ე გამოშვებაა. ჩვენს სკოლას „კადრების სამჭედლოს“ ეძახდნენ და მინდა ვთქვა, რომ თქვენ ნამდვილად იმ ნაკვალავზე დადიხართ, რომელზეც ღირსეული თაობები აღიზარდნენ. თქვენი სახით კიდევ ერთი ღირსეული თაობა ტოვებს ჩვენს სკოლას. მინდა მივულოცო ეს დღე თითოეულ მშობელსა და სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს. თქვენ ასეთები რომ ხართ -ცოდნით, უნარებით და ღირებულებებით სავსე, თქვენი მშობლებისა და თითოეული აქ მყოფი პედაგოგის დამსახურებაა. გზას დაგილოცავთ, თქვენ მართლაც დღევანდელი დღის გამირები ხართ. ცხოვრების ერთი ეტაპი უკვე გაირთა, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ეტაპები წინ გელოდებათ. გისურვებთ ისეთივე კრეატიულ და განსხვავებულ ცხოვრებას, როგორებიც დღეს წარმოჩინდით“.

ბოლო ზარს სისხარულისა თუ სევდის ცრემლების გარეშე არ ჩაუვლია. ამ ცრემლების მიღმა ჩამოყალიბებული იდეებითა და აზრებით სავსე ახალგაზრდები იდგნენ, რომლებმაც ღონისძიების დასასრულს, სკოლის პედაგოგიურ კოლექტივსა და მომავალ ცხრა პირველკლასელს სამახსოვრო სუვენირები გადასცეს.



**P.S. დღეს კიდევ ერთ ბოლო ზარს დავესწარი. არბოშიკის სკოლაში დღეს 79-ე თაობის გამოშვება იზეიმა. მქონდა იმის ბედნიერება, რომ სხვისი ბედნიერი სახეები მენახა და ამავდროულად, გამეხსენებინა ის წუთები, როდესაც მეც ცხოვრების ახალ ეტაპს ვინყვებდი და სულ, სულ სხვანაირად ვუყურებდი ყველაფერს. ვიტყვი, უფრო ვარდისფერი სათვალისგან ვადევნებდი თვალს იმ უდარდელ და ამავდროულად, ემოციურ პერიოდს, რასაც ბავშვობა და სკოლა ჰქვია - ვფიქრობ, ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ბავშვობა ერთადერთი პერიოდია, როდესაც სილაღის სრული უფლება გვაქვს. დღეს ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ვარ, ეტაპზე, სადაც ადამიანები პირველ ნაბიჯებს დგამენ თავიანთი მიზნებისკენ.**

მეშლება, ვსწავლობ, კვლავ გაკვეთილებს ვიღებ, ცხოვრებისეულ გაკვეთილებს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს უმრავლესობისთვის, მე სკოლა, სკოლის პერიოდი და ჩემი მასწავლებლები ჩემი თითოეული წარმატების ერთ-ერთ ბურჯად მესახებიან. ისინი დღემდე ძალიან თბილად და კარგად მახსენდებიან და ჩემი სკოლაში მისვლა ყოველთვის დიდ სისხარულთან არის ხოლმე დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, ვულოცავ ყველას, თითოეულ პედაგოგს ამ დღეს. მიხარია, მათ პროფესიული წინსვლა, წარმატება და ჯანის სიმრთელე, ბავშვებს კი, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამენ, ოცნებების ასრულება უსურვო!

შუშუნა ყანჩაშვილი

## 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეა

26 მაისს საქართველოში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. ზუსტად 101 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ, შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.

საბჭოთა რუსეთმა თბილისი 1921 წლის 25 თებერვალს დაიკავა. ისტორიკოს ბონდო კუპატაძის თქმით, დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, უნიათობას ამჟღავნებდა, ჯერ თბილისი, მოგვიანებით კი საქართველოს ტერიტორია დატოვა: „ერთი დადებითი მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არანაირი იურიდიული საბუთი არ დაუტოვებია იმისა, რომ მან ძალაუფლება გადასცა რომელიმე სხვა ძალას. ანუ საქართველოში ბოლშევიკების შემოჭრა დაფიქსირდა როგორც ოკუპაცია და, საერთაშორისო სამართლით, ეს იყო ოკუპაცია“, - განაცხადა ბონდო კუპატაძემ.

და მართლაც, გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ შეძლო დაშლის პირას მისული საბჭოთა კავშირიდან თავის დაღწევა. 70-წლიანი ტყვეობის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ეროვნულმა ძალებმა, 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინეს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ აღადგინა დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო სიმბოლიკა, თუმცა 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ საქართველომ უარი თქვა პირველი რესპუბლიკის დროშაზე, ღერბსა და ჰიმნზე. ეს უკანასკნელი ახალი თაობის პოლიტიკოსებმა ტექსტისა და მელოდიის სირთულის გამო დაინუნეს.

„ეს დღე ჩვენი“ - 26 მაისს, დამოუკიდებლობის 101-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ღონისძიებები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც გაიმართება და უკვე ტრადიციად ქცეულ „პურისა და ღვინის ფესტივალს“ ადგილობრივი ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი დაასრულებს.

**ულოცავთ!**  
**წაგზავთ მამუკალაშვილს!**

29 მაისს 70 წლის გახდები. აქედან 50 წელია, ერთად მოვდივართ ამ ცხოვრებაში. გილოცავთ საიუბილეო თარიღს და გისურვებთ მხნეობას, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს შენს მშვენიერ ოჯახთან ერთად. ბედნიერი ხარ, რადგან მეუღლესთან -ნანა მერაბიშვილთან ერთად ორი შესანიშნავი შვილი გაუზარდე ქვეყანას. მათ ღირსეული განათლების საშუალება მიეცი და შესაბამის სამსახურებშიც არიან დასაქმებულნი. ზურაბს ერთი შვილი ჰყავს, თამარს - სამი, ასე რომ, 4 შვილიშვილის თბილი და ტკბილი პაპა ხარ. გაიხარე და გამრავლდი.

შენი ძმისცილი ნათილა ბელაშვილი-მამუკალაშვილი და მეგობრები ლამბარა და ნანა ჟიჟინაძეები.

**მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა**

გემუშაობ მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახელობის მუზეუმში. ყოველ წელს იმართება ღონისძიება „ღამე მუზეუმში“. 18 მაისსაც გაიმართა ეს საღამო. გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო სახეზე მივიღე დაზიანება. კერძოდ, სახის დაზიანება. შემდეგ წავიდა სახლში შეუნებელი, ტკივილია მომიმატა, დაგრეკე 112-ში, დედოფლისწყაროდან დაუყოვნებლივ მოვიდა სასწრაფო, გამიწიეს პირველადი დახმარება, შემდეგ წამიყვანეს საავადმყოფოში. იმ ღამეს მორიგე პერსონალმა აღმომიჩინა სწრაფი დახმარება, განსაკუთრებით ერთი ახალგაზრდა გოგო იყო სამთანყაროდან, რომელიც სულ თავს დამტრიალებდა: პაპი, როგორ ხარ, ნუ გეშინიაო. თქვენ განსაკუთრებით დიდი მადლობა, გაიხარეთ ოჯახში.გაზეთ „შირაქის“ საშუალებით ყველას გიხდით მადლობას: სასწრაფოს ექიმს ია ფიროსმანაშვილს, სასწრაფოს ექთანს ეკატერინე ჩიტიშვილს, მიმღების ექთანს ვილარ საკანელაშვილს, ქირურგის ექთანს მანანა მანგოშვილს, მიმღების ექიმს ია უსენაშვილს, მორიგე ქირურგს გოგი ნიკვაშვილს, რეგიონალური ჯანდაცვის დედოფლისწყაროს კლინიკის მენეჯერს ხათუნა ავლაძეს.

პატივისცემით,  
ბიძინა (კოპა) ბონაშვილი სოფელი არბოშიკი

დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში, სტალინის ქუჩის ბოლო ორი მონაკვეთის რემონტისა და მოსაფლავებისთვის, უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს - ნიკოლოზ ჯანაშვილს, ინფრასტრუქტურის სამსახურის ყოფილ უფროსს - დავით ფხოველიშვილს და შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ ყველა თანამშრომელს. გამგეობის თანამშრომლებს, ვინც გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი გასაჭირი და დიდი ხნის ოცნება აგვირულა!

სოფ. სამრეკლოს სტალინის ქუჩის მცხოვრები  
ღარაფხან ქარსამაშვილი

<b>ამინდი</b>	<b>დედოფლისწყარო</b>
ორშაბათი 27.05 დღე	ორშაბათი 29.05 დღე
სამშაბათი 28.05 ღამე	სამშაბათი 30.05 ღამე
27°	17°
18°	19°
15°	20°
17°	18°
21°	19°
22°	20°
22°	20°

გამომცემელი შპს „შირაქი“  
დირექტორი ინგა შიოლაშვილი  
რედაქტორი ნაირა ბორაშვილი-პოპიაშვილი  
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათილა ბონაშვილი (ბუღალტერი); ნინო ზანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანდაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუნაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).  
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სილონ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.